სამართლიანი განხილვის უფლება ევროპის კონკურენციის სამართლისა და კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით

ანა რეხვიაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამართლის სკოლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

კერძო (ბიზნეს) სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ალექსანდრე დევიძე, მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

განაცხადი

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და ის არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანა რეხვიაშვილი

2019 წელი

აბსტრაქტი

კაცობრიობა ასობით წლის წინ შეთანხმდა, რომ კონკურენციის სამართალი თავისუფალი და დინამიური ბაზრის შენარჩუნებისა და საერთო ეკონომიკური კეთილდღეობის მისაღწევად და შესანარჩუნებლად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იარაღია.

საერთო კონსენსუსი არსებობს, რომ სამართლიანი განხილვის უფლების რეალიზაციას კონკურენციის სამართლის შესაძლო დარღვევის ფაქტთან დაკავშირებით მოკვლევის პროცესში და პროცესუალურ გარანტიებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კონკურენციის სამართლის ეფექტური აღსრულებისათვის, იმდენად რამდენადაც იგი უზრუნველყოფს კონკურენციის ორგანოს მიერ მოკვლევის სწორად განხორციელებას, რაც კონკურენციის კანონების მიზნების განხორციელების პირდაპირი წინაპირობაა.
საერთაშორისო პრაქტიკასა და ევროკავშირის სამართალში აღიარებულია, რომ სამართლიანი განხილვის უფლება იმპერატიული ბუნების ფუნდამენტური გარანტიაა კონკურენციის ორგანოების მოკვლევის ობიექტებისათვის.

ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმების შედეგად საქართველოს სწრაფვამ და საერთაშორისო ვალდებულებამ მოახდინოს მისი კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირის კანონმდებლობასთან გააჩინა კითხვა თუ რამდენად გააჩნია ანალოგიები ევროკავშირში არსებულ სამართლიანი განხილვის უფლებას ქართულ კანონმდებლობაში და რამდენად შესაბამისია ქართული კონკურენციის კანონმდებლობა და საქართველოს კონკურენციის სააგენტოს პრაქტიკა ამ სფეროში დამკვიდრებულ ევროპულ სტანდარტებთან.

წინამდებარე ნაშრომში განხილულია ევროკავშირის კონკურენციის სამართალში არსებული პროცესუალური გარანტიები, მიმოხილულია სამართლიანი განხილვის უფლების მარეგულირებელი ნორმები ქართულ საკანონმდებლო სივრცეში და გაანალიზებულია პროცესუალურ გარანტიებთან დაკავშირებით ევროკავშირსა და საქართველოში არსებული პრაქტიკა.